საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ტერიტორიული ორგანო -
ქ. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ქ. დედოფლისწყარო, 9 ძმის ქ. N14
ტელ: 0(356) 22 00 93
ელ. ფოსტა: dedoplistskaro@mes.gov.ge

TERRITORIAL ENTITY OF THE MINISTRY OF EDUCATION,
SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA -
Educational Resource Center of
T. Dedoplistskaro

Dedoplistskaro, 9 brothers st. N14
Tel: 0(356) 22 00 93
E-mail: dedoplistskaro@mes.gov.ge

10/12/2025

MES 4 25 0001769360

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმოგიდგენთ 2025 წლის ანგარიშს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, ამავე კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით მოგახსენებთ:

ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თეა ლეკაშვილი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილი იქნა 5 (ხუთი) მოთხოვნა, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა. რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული;

ბ) დაკმაყოფილდა 5 (ხუთი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის ფაქტი არ ყოფილა და პასუხისმგებელ პირებს დისციპლინური სახდელი არ დასდებიათ;

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტი არ ყოფილა;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი არ ყოფილა;

ზ) საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გადაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები არ ყოფილა.

პატივისცემით,

ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი ჯანაშვილი მაკა